ლიტმცოდნეობის საკითხები

მოამზადა მაია ინასარიძემ

პოეტური ლექსიკა

არქაიზმი - მოძველებული, ხმარებიდან გამოსული სიტყვები და გამოთქმებია: ***ძალუძს, მუნ, ოდეს, ვითარცა, რამეთუ...*** არქაიზმს მიმართავენ პერსონაჟის უკეთ დახატვის მიზნით, ისტორიული რეალობის აღსაქმელად ან ერთგვარი ამაღლებული განწყობილების შესაქმნელად. არქაიზმები გვხვდება ნ. ბარათაშვილის პოემაში "ბედი ქართლისა". განსაკუთრებულად უხვად იყენებს მას კონსტანტინე გამსახურდია რომანში "დიდოსტატის მარჯვენა".

ბარბარიზმი - ენის ბუნებისათვის შეუფერებელი, საჭიროების გარეშე ენაში შემოსული ლექსიკა: ***ვინტოვკა, პოლი, სპიჩკა, მისქოლი, მესიჯი, პერფორმანსი...*** ავტორები ზოგჯერ მას შეგნებულად მიმართავენ, რათა უკეთ დახატონ პერსონაჟი (მაგალითად, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „მოგზაურობა ყარაბაღში“), შექმნან ტიპი, გამოხატონ მისდამი ირონია.

დიალექტიზმი _ კუთხური მეტყველების გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში: ***მევიდა, აზნოუშვილი, რა უნდებიენ, ჭოვ...*** ამ ხერხს ავტორი პერსონაჟის უკეთ წარმოჩენის მიზნით იყენებს, დიალექტიზმის საშუალებით გამოკვეთს მის წარმომავლობას, ხასიათს, ბუნებრიობას სძენს მის მეტყველების. დიალექტიზმებს მიმართავდნენ ისეთი მწერლები, როგორებიც იყვნენ: დავით კლდიაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლორთქიფანიძე.

ტროპი

ტროპი - სიტყვა ან წინადადება, რომელსაც გადატანითი მნიშვნელობა აქვს, რაც იწვევს მის შინაარსობრივ გამდიდრებას, მნიშვნელობის გაფართოებას, ტექსტის სტილისტიკური და მხატვრულ-გამოსახველობითი ელფერის გაძლიერებას. ტროპის სახეებია: ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, გამეორება, შედარება, გაპიროვნება, მეტონიმია, სიმბოლო, ირონია, ალეგორია, პერიფრაზი და სხვ.

ეპითეტი - რაიმე საგნის, მოვლენის მხატვრულ-ემოციური განსაზღვრა, დახასიათება. ეპითეტად უმეტესად გამოიყენება ზედსართავი სახელები (მაგ.: „მე ძლიერ მიყვარს ***იისფერ*** თოვლის"...). იგი გასხვავდება განსაზღვრებისაგან, რომელიც საგნის ან მოვლენის ობიექტურ და ლოგიკურ დახასიათებას გულისხმობს. ეპითეტი საგნის ან მოვლენის სუბიექტურ და ემოციურ დამახასიათებელ ნიშანს გამოარჩევს და მხატვრულად გამოსახავს მას. სიტყვათშერჩევაც თავისუფალია და ეფუძნება ავტორის შემოქმედებით არჩევანს.

მეტაფორა - ტროპის ყველაზე რთული სახეა, რომელიც მხატვრული გამოსახვის სტილისტიკურ ხერხს წარმოადგენს. იგი ემყარება პოეტურად შესაძლებელს, დასაშვებს, ასოციაციებით, კონტრასტითა და ანალოგიით წარმოსადგენს ან აგებულია სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე. საგნებსა და მოვლენებს მიწერილი აქვთ ისეთი თვისება, რომელიც მათ არ ახასიათებს, მაგრამ პოეტურად დასაშვებია (მაგ.,: ცა ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა"). არისტოტელე მეტაფორას გამოცანას უწოდებდა. სწორედ ეს ართულებს მეტაფორის შინაარსის გაგებას. ზოგჯერ მეტაფორულია მთლიანად წინადადება, რომელშიც თითქმის ყველა სიტყვის შინაარსი ამოსაცნობია (მაგ., "ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან").

ჰიპერბოლა და ლიტოტესი - ჰიპერბოლა საგნის ან მოვლენის გაზვიადებულად გამომხატველი ტროპია: მაგალითად, ***„კაცი კაცსა შემოვტყორცნი, ცხენ-კაცისა დადგა გორი".*** ლიტოტესი საგნის ან მოვლენის დამცირებულად გამოხატვას ეწოდება: ***"აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდან რომ გადააფურთხო, ქალაქის ბოლოს დაეცემა..."*** (ილია, „მგზავრის წერილები").

შედარება - სტილისტიკური ხერხი, მხატვრული დახასიათების ფორმა, როდესაც საგნები და მოვლენები შედარებული ან შეპირისპირებულია ერთმანეთთან გარეგნული მახასიათებლებით თუ შინაგანი თვისებებით (მაგ.,: „საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“). შეპირისპირება შეიძლება წარმოდგენილი იყოს კონტრასტით („ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა“). შედარებისას უმეტესად იხმარება მაკავშირებელი სიტყვები და ნაწილაკები: როგორც, მსგავსად, თითქოს, ვითარცა, -ვით, -ებრ და სხვ. შედარება ორგვარია: მარტივი და გაშლილი (ორმხრივი). მარტივი შედარება თითო-თითო შესადარებელსა და შედარებულს გულისხმობს („წამოდგა ისიც ფეხზედა, როგორც კლდის ვეფხი ძლიერი“), ხოლო გაშლილი საგნისა თუ მოვლენის სრულ დახასიათებას წარმოადგენს („მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა, / სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, / ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა...“)

გაპიროვნება - მხატვრული ხერხი, რომელიც გულისხმობს ადამიანური თვისებების (და მოქმედებების) მიწერას სხვადასხვა სულიერი და უსულო, ასევე აბსტრაქტული საგნებისადმი. გაპიროვნება ტრადიციულად ყველაზე მეტად გავრცელებულია პოეზიაში („დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები“).

მეტონიმია - მხატვრული ხერხი, რომელშიც სიტყვა გამოიყენება მასთან ლოგიკურად თუ პირობითად დაკავშირებულ საგანთან ან მოვლენასთან („იმ ზამთარს *წითლები* შემოვიდნენ“).

სიმბოლო - მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებითაც რაიმე საგანი ან მოვლენა, ზოგჯერ პერსონაჟი, გეოგრაფიული ადგილი და ა.შ. აბსტრაქტულ იდეასა თუ მდგომარეობაზე მიანიშნებს. სიმბოლური შეიძლება იყოს სიტყვა, სიტყვათა რიგი, რამდენიმე წინადადება, მხატვრული სახე, გმირი, მთელი ნაწარმოები. მაგალითად, აკაკის „მიჯაჭვული ამირანი“ საქართველოს მდგომარეობის სიმბოლოა, გველი სიბრძნის სიმბოლოა ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში“, ხოლო ვეშაპი გრიგოლ ორბელიანის ლექსში „იარალის“ - დამპყრობლისა.

ალეგორია - ეს არის თხრობის ფორმა, რომელშიც პირდაპირ გადმოცემული ამბავი გულიხმობს განსხვავებული შინაარსს. ალეგორია ტრადიციულად ხშირად მიმართავს გაპიროვნების ხერხს, როცა ადამიანის თვისებები გამოიყენება აბსტრაქტული იდეების გადმოსაცემად. ზოგიერთ ნაწარმოებში კი, მაგალითად, სიკვდილი და სიცოცხლე (ხალხური), დღე და ღამე (დ. გურამიშვილის „გაბაასება დღისა და ღამისა“) პერსონაჟებად გვევლინებიან. ალეგორიულია: ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი, ზოგჯერ სხვა ჟანრის ნაწარმოებებიც. ალეგორიის მიზანია ავტორის ჩანაფიქრის შენიღბვა, მისი შეფარულად თქმა. ალეგორიული ნაწარმოებებია, მაგალითად, ნ. ბარათაშვილის „სუმბული და მწირი“, ა. წერეთლის „სულიკო“, ვაჟა-ფშაველას „არწივი“.

ალუზია - (ფრანგ. allusion გადაკრული სიტყვა) რიტორიკული ხერხი - გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა, მინიშნება. მხატვრულ ტექსტებში ეს ფორმა თავს იჩენს დაფარული, ქვეტექსტური სახით.

ალიტერაცია - ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერების გამეორება სალექსო სტრიქონში. ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმა, რაც ქმნის ტექსტის კეთილხმოვანებას ან აკუსტიკურ ეფექტს და იძლევა მკითხველზე ემოციური ზეგავლენის საშუალებას (”დაიღალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით”; ”კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე”). ალიტერაცია რიტმული პროზის ერთ-ერტ კომპონენტადაც გვევლინება (”ბნელში დაბუდებულ ბუს მართვე ბნელს უჩიოდა ხილნარში”).

ირონია - შენიღბული დაცინვა, გადაკვრით ნათქვამი. მისთვის დამახასიათებელია თავშეკავებულობა და ზომიერება, მოჩვენებითი სერიოზულობა, გარეგნული პატივისცემა. სწორედ ამიტომ, ირონიის გაგება მოითხოვს მკითხველის გარკვეულობას ავტორის პოზიციაში, ნაწარმოების მთლიანი კონტექსტის გაგებას და ხშირად - განათლების გარკვეულ დონეს (შესაბამისი ისტორიული, კულტურული და სოციალური კონტექსტის თავისებურებების ცოდნას, ასევე სხვა ნაწარმობებისაც, რომლებსაც ესესხება ხოლმე ესა თუ ის ავტორი). ირონია უფრო ნეგატიურად და

დაუნდობლად არის განწყობილი ობიექტის მიმართ, ვიდრე იუმორი. ზეპირმეტყველებაში ირონიის გამოხატვის მძლავრი საშუალებაა ინტონაცია. ირონია შეიძლება იყოს კომიკური და ტრაგიკული, მსუბუქი და მწვავე (ამ უკანასკნელს სარკაზმი ეწოდება). ირონიასთან ახლოს დგას პაროდია.

იუმორი - კომიზმის ერთ-ერთი სახეობა. იუმორის განსაკუთრებული ნიშანი ის არის, რომ მისი გამოყენებისას ავტორი იუმორის ობიექტის მიმართ ფრთხილ და თბილ დამოკიდებულებას ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ კილავს მას. ავტორის ენა არ არის ცინიკური და უხეში. მსუბუქი, უწყინარი დაცინვის საშულებით წარმოაჩენს ამ ნაკლოვანებებს. იუმორი უმეტესად წარმოადგენს სერიოზული თემებისა და პრობლემატიკის შემცველi ნაწარმოებების გარეგან კომიკურ ფორმას. კომიკურისა და სერიოზულობის შეპირისპირება არის ის, რაც საერთო აქვთ იუმორსა და ირონიას, თუმცა მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებაა იმ თვალსაზრისით, რომ ირონია კომიკურს ნიღბავს სერიოზულობით, დამოკიდებულება ობიექტის მიმართ კი დამცინავი და ნეგატიურია, ხოლო იუმორში - პირიქით, სერიოზული შენიღბულია კომიკურით და დამოკიდებულებაც ობიექტის მიმართ კეთილგანწყობილია. იუმორი, უკომპრომისო სატირისგან განსხვავებით, უფრო შემწყნარებელია. ქართული იუმორისტული ლიტერატურის კლასიკური ნიმუშებია ნ. დუმბაძისა და დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები.

სატირა - სინამდვილის მხატვრული ასახვის ისეთი ფორმა, რომელიც შეუნიღბავად, ღიად და დაუნდობლად ამხელს და გამანადგურებელი სიცილით დასცინის ობიექტის მანკიერებებს. სატირისთვის დამახასიათებელია პუბლიცისტური სტილი (პამფლეტი, ფელეტონი, ეპიგრამა) და ავტორისეული ტენდენციურობა. სატირა ტრადიციულად მძლავრად არის ასახული იგავ-არაკულ ჟანრში. ქართულ ლიტერატურაში სატირული ნაწარმოებების ნიმუშებია "კაცია-ადამიანი?!", "ბედნიერი ერი", "რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით", ა. წერეთლის "აპელაციის მცოდნე" და სხვ.

გროტესკი - კარიკატურულ გაზვიადებაზე, ურთიერთგამომრიცხავ კონტრასტებზე (მაგ., ტრაგიკულისა და კომიკურის) და პარადოქსებზე აგებული დეფორმირებული

სინამდვილე. ეს დეფორმაცია ყოველთვის განპირობებულია რეალური საწყისით, მასთან შეფარდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იკარგება თვით გროტესკი. გროტესკი ნაწარმოების შეიძლება მთლიანად იყოს გროტესკული ან გროტესკის ელემენტებს შეიცავდეს, როგორც, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანი?!"

პოეტური სინტაქსი

რიტორიკული მიმართვა - საგნის ან პირისადმი მიმართვა, რომელსაც გამოხმაურება არ შეუძლია ან არ არის სავალდებულო: ***"თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!.." (ილია)***

რიტორიკული შეძახილი - აზრისა და გრძნობის ძახილის წინადადების საშუალებით გამოხატვა: ***"ძნელი არის მარტოობა სულისა!" (ნ. ბარათაშვილი)***

რიტორიკული შეკითხვა - ისეთი შეკითხვა, რომელიც პასუხს არ მოითხოვს, რადგან კითხვითი ფორმა პასუხს თავად გულისხმობს. ***"ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს, ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?"*** სამივე ამ ფორმის ფუნქცია არის ამაღლებული განწყობილების შექმნა.

ინვერსია - სიტყვათა ბუნებრივი თანმიმდევრობის შეცვლა. ***"მთები, თავჩაჩქნიანები,*** *ფიქრს მისცემიან მწარესა..."*

გამეორება - სტილისტიკური ხერხი, რომელიც მხატვრულ მეტყველებაში გამოყენებულია აზრის ხაზგასმისა და მკითხველის ემოციის, შთაბეჭდილების გამაძლიერებელ საშუალებად. ვხვდებით როგორც ტროპის, ისე პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვებისა და გამონათქვამების (მაგ.: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს"; „გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!"), აგრეთვე, ბგერების (მაგ: „შეხსნა, შეიღო

აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან“), რითმის, მეტრისა და რიტმის გამეორებას. გვხვდება სხვადასხვა სახის გამეორება:

- ბგერითი გამეორება: ალიტერაცია, რითმა, ასონანსი.
- ლექსიკური გამეორება: ანაფორა, ეპიფორა, რეფრენი...
- სინტაქსური გამეორება: სინტაქსური პარალელიზმი.
- მორფოლოგიური გამეორება: აფიქსების, ძირების, რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილებისა.

გრადაცია - ანუ გაძლიერება, მასში გამოყენებულია გამოსახატავი ცნების მნიშვნელობის გამაძლიერებელი სიტყვები: *"მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი..." "გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო..." (ნ. ბარათაშვილი)*

პარალელიზმი - დამოუკიდებელი და თანაბარი მნიშვნელობის მოვლენათა შეფარდება. *"ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?" (აკაკი).*